

ელექტრონული ჯანდაცვა

თამარ მურუსიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ეგუტია

მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017 წ.

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამარ მურუსიძე 30.06.2017

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი ჯანდაცვის სისტემაში შემავალ სტრუქტურულ დაწესებულებებში ელექტრონული ჯანდაცვის სისტემის დანერგვას შეეხება. ნაშრომში ელექტრონული ჯანდაცვის განვითარების კუთხით განხილულია სახელმწიფოს ჯანდაცვის პოლიტიკა; კერძოდ, თუ რამდენად სრულდება საერთაშორისო შეთანხმებები და "ციფრული საქართველოს" 2014-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით გაწერილი მოთხოვნები, ვინაიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა ითვალისწინებს როგორც ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ რეალობას, ისე ჯანდაცვის სფეროში საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პოლიტიკურ დეკლარაციებსა და სამოქმედო პლატფორმებს.

ნაშრომის პირველი ნაწილი ჯანდაცვის სისტემაში არსებული პრობლემების წარმოჩენას ეთმობა: რა ხარვეზები არსებობს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის კუთხით, რამდენად ეფექტურია არსებული მოდელი და რა შემაფერხებელი გარემოებებია მედიცინის მუშაკებისა და პაციენტებისთვის; აქვს თუ არა ჯანდაცვის სისტემას შემუშავებული ელექტრონულ ჯანდაცვაზე გადასვლის სტრატეგია და რამდენად ეფექტური იქნება მოცემულ რეალობაში მათ მიერ შემოთავაზებული სისტემა. ყურადღება გამახვილდება სამედიცინო პერსონალისა და პაციენტების ურთიერთობაში არსებულ დამაბრკოლებელ გარემოებებზე, რაც ეფექტიანი ჯანდაცვის ელექტრონული სისტემის არარსებობით არის გამოწვეული.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია ელექტრონული ჯანდაცვის განვითარების სფეროში სხვა ქვეყნების გამოცდილება: რა ეტაპები გაიარეს არსებული შედეგის მიღწევამდე, რამდენად ეფექტური დასასარგებლო გამოდგა ელექტრონულ ჯანდაცვაზე გადასვლა და აღნიშნული სისტემის დანერგვა; უსაფრთხოების კუთხით რა დამცავი მექანიზმები გამოიყენეს და რამდენად უსაფრთხოდ უზრუნველყვეს პაციენტთა პირადი ინფორმაციის განთავსება ელექტრონულ მატარებლებზე ისე, რომ არ დაერღვიათ ადამიანის უფლებები.

ნაშრომის დასკვნითი ნაწილი ელექტრონული ჯანდაცვის სისტემის განვითარების შემოთავაზებული ვერსიის განხილვას დაეთმობა: რა უპირატესობა აქვს ელექტრონულ ჯანდაცვას, განსაკუთრებით პაციენტის ელექტრონული ანკეტის ფუნქციონირებას, ზოგადად, ჯანდაცვის სისტემისთვის; როგორი სისტემით მოხდება არსებულის ჩანაცვლება და რეფორმის განხორციელება; რამდენად შეამცირებს აღნიშნულ სფეროში არსებულ ხარჯებს, დროს და ადამიანურ რესურსს. შემოთავაზებული იქნება სამედიცინო პერსონალის სარეიტინგო სისტემის აპრობირებული ვარიანტი, რაც სამედიცინო მომსახურების მიმღებს სასურველი მედ-პროფესიონალის შერჩევას გაუმარტივებს.

ტექნიკური უზრუნველყოფის ნაწილში განხილული და შემოთავაზებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიების ის მიღწევები, რომელიც სამედიცინო პერსონალის მუშაობას მეტად ეფექტურს გახდის და დანახარჯებს შეამცირებს.

ნაშრომში წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალა ასახავს სფეროში მომუშავე სპეციალისტების შეფასებებს არსებულ მდგომარეობაზე, ელექტრონული ჯანდაცვის სისტემის ინიციატორებისა და მიმდინარე პროექტზე მომუშავე პირების გამოცდილებას. უცხოური ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით განვიხილავთ საქართველოსთვის საუკეთესო ელექტრონული ჯანდაცვის სისტემის მოდელებს. წარმოდგენილი მსჯელობა, ანალიზი და შემოთავაზებული არგუმენტები მკითხველს საკუთარი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას მისცემს.

Abstract

The paper considers the efficiency of the launch of the electronic health system in Georgian healthcare institutions. As the national healthcare policy reflects the social and economic conditions in the country as well as international political declarations and platforms for action in the field of healthcare, it is important to envision e-health development as part of the national healthcare policy, including the compliance with international regulations and the document A digital Georgia / e-Georgia Strategy and Action Plan 2014-2018.

Chapter One of the thesis describes the challenges in the healthcare system: it reviews the level of access to healthcare, the efficiency of the existing model and the factors that interfere with the performance of healthcare professionals and patient behaviour. It also considers whether the national strategy for the transition to e-health is in place and assesses the potential efficiency of the system proposed by the government in the current circumstances. However, the main emphasis is placed on challenges in the healthcare professional and patient relationship in Georgia in the absence of the e-health system.

Chapter Two is devoted to the overview of international e-health practices, the development record leading to the current e-health advancements, the efficiency of the transition to the e-health system, relevant security concerns and tools, and the preferred practices of patient data portability that comply with human rights.

The last chapter assesses the proposed e-health system: its benefits, the potential effects of electronic health records, and cost, time and HR efficiency under the new system. The paper also considers the benefits of the medical staff performance appraisal system, which is expected to help patients in their choice of medical personnel.

The thesis discusses several technological solutions that contribute to the efficient performance of the medical staff and to cost-saving strategies. It offers evidence of performance appraisal

practices for healthcare professionals and describes the experience of e-health pioneers in Georgia, including the implementers of the current project. The paper analyzes international e-health practices and focuses on models that best fit the Georgian case. The data, discussion and findings proposed in the thesis are expected to contribute to the development of e-health solutions tailored to the needs of our country.